ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი:**03-032104374**
თარიღი: **12/02/2021**

ადრესატი:

გიორგი ტყემალაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში შემოსულია ბულგარეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის საქართველოში დესისლავა ივანოვას 04/0320027123-03 წერილი, თბილისში ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის ბულგარეთის დედაქალაქის, სოფიას სახელის მინიჭების თაობაზე.

როგორც მოგეხსენებათ, საკითხის შესწავლის პროცესში რამდენიმე შეხვედრა გაიმართა, როგორც საელჩოს წარმომადგენლების ასევე ელჩისა და თქვენი ჩართულობით.

კომისიამ საკითხის შესწავლისას არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა საქართველო-ბულგარეთის ორმხრივ ურთიერთობებს და იმ გარემოებას, რომ ეს უკანასკნელი საქართველოს ევროპული და ევრო- ატლანტიკური მისწრაფების მუდმივი მხარდამჭერია. მიგვაჩნია, რომ თბილისში სოფიას სახელობის გეოგრაფიული ობიექტის დაარსება კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნებისა და ქალაქების ურთიერთთანამშრომლობასა და მეგობრულ ურთიერთობებს

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ მომზადებულ განკარგულების პროექტს: "ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ბულგარეთის რესპუბლიკის დედაქალაქის სოფიას სახელის მინიჭების შესახებ".

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---თებერვალი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ბულგარეთის რესპუბლიკის დედაქალაქის სოფიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დიდუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს ბულგარეთის რესპუბლიკის დედაქალაქის სოფიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

სოფიას სახელობის
სკვერი

EMBASSY OF THE
REPUBLIC OF BULGARIA
TO GEORGIA

ПОСОЛСТВО НА
РЕПУБЛИКА БЪЛГАРИЯ
В ГРУЗИЯ

The Ambassador

Tbilisi, 24 January 2020

DISTINGUISHED CHAIRMAN,

Please accept my most sincere and heartfelt wishes for a prosperous, peaceful and healthy new Year 2020!

Reflecting on the years behind, I would like to share with you my deep satisfaction with the excellent cooperation between the Republic of Bulgaria and Georgia in all areas of mutual interest. The Republic of Bulgaria regards Georgia as one of its closest partners in the region. My country is also one of the most active supporters and leading promoters of Georgia's European and Euro-Atlantic perspective. It is my pleasure to recall that in 2017-2018, the Embassy of the Republic of Bulgaria was performing – on voluntary basis – the functions of NATO Contact Point Embassy in Georgia, being the only one with three mandates as such in Georgia. To add, the Embassy of the Republic of Bulgaria in Georgia unfolded an active public diplomacy campaign in the context of the Bulgarian Presidency of the Council of the European Union in the first half of 2018 too. Allow me to mention that in 2017 and 2018, we organized roughly 50 public diplomacy events, thus spreading knowledge and raising awareness about EU and NATO and bringing Georgia closer to its European and Euro-Atlantic aspirations. In addition, over the past years, our bilateral development cooperation has been consistently on the rise. We have been supporting an increasing number of projects of our Georgian partners, ranging from the state institutions to renowned non-governmental organizations and across areas as diverse as democratic institution-building, agriculture, youth and accessible education. Overall, we have funded projects with a sum amounting to more than half a million EUR so far.

Mr. Tkemaladze,
In view of the excellent bilateral relations between our countries, and looking forward to the meeting with you, I would like in advance to kindly bring into consideration the idea to name a street in Tbilisi after the capital of the Republic of Bulgaria – Sofia. This would not be only a further sign of the mutual cooperation between our capitals, I believe, but would also reflect the spirit of beautiful Tbilisi characterized by openness, cosmopolitanism and diversity.

Availing myself of the opportunity to present to you the trilingual book, we have recently published, *"Alexander Stoyanov. The Bulgarian Advocate of Georgian Language and Culture"*, and while being confident that the friendly relations between our countries and capitals will continue to evolve and deepen on the ground of historical proximity and centuries-old ties, shared values and aspirations towards the future, I would like herewith too to assure you, Mr. Tkemaladze, that Georgia could continue to rely on Bulgaria's experience and best-practice sharing in the process of reforms, capacity and democracy building.

Looking forward to our further cooperation,

Sincerely yours,

DESSISLAVA IVANOVA

MR. GIORGI TKEMALADZE
CHAIRMAN OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY
TBILISI

Address: 15 Vakhtang Gorgasali Ln, 0105 Tbilisi

E-mail: Embassy.Tbilisi@mfa.bg Tel: +995 32 2910194 / 95
Web page http://www.mfa.bg/embassies/georgia Fax: +995 32 2910270

ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში

2020 წლის 24 თებერვალი, თბილისი.

პატივცემულო თავჯდომარე,

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი და გულითადი მილოცვა, გისურვებთ რა წარმატებულ, მშვიდობიან და კეთილდღეობით აღსავსე ახალ 2020 წელს.

თუ კი გადავხედავთ გასულ წლებს, სიამაყით შემიძლია აღვნიშნო ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა ყველა სფეროში, ზოგადი ინტერესების გათვალისწინებით. ბულგარეთის რესპუბლიკა საქართველოს მიიჩნევს ერთ-ერთ ყველაზე ახლო მეგობრად რეგიონში. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ბულგარეთი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერია საქართველოსი, ევროპული და ევრო-ატლანტიკური პერსპექტივების გაზიარების გზაზე. მსურს შეგახსენოთ, რომ 2017-2018 წწ-ში, ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩო - ნებაყოფლობით- წარმოადგენდა ნატოს საკონტაქტო პუნქტს საქართველოში, იყო რა ერთადერთი 3 მანდატის მფლობელი ქვეყანა საქართველოში. დამატებით აღვნიშნავ, რომ ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩო, საქართველოში აქტიურ საჯარო დიპლომატიურ კამპანიას ატარებდა, მაშინ როდესაც ბულგარეთი წარმოადგენდა ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტ ქვეყანას 2018 წლის პირველ ნახევარში. ნება მიბოძეთ ასევე აღვნიშნო, რომ 2017-2018 წლებში ჩვენ ორგანიზება გავუწიეთ ზუსტად 50 დიპლომატიურ ღონისძიებას, რაც მიზნად ისახავდა საქართველოში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობასა და ცოდნის გაზიარებას, ეს კი თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად დააახლოებდა საქართველოს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებთან. დამატებით მინდა მოგახსენოთ, რომ წარსულის გათვალისწინებით, საქართველოსა და ბულგარეთის ქვეყნებს შორის ორმხრივი თანამშრომლობა მუდმივად მყარდება და ძლიერდება. ჩვენი ქვეყანა აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა სახის პროექტებს ქართველ პარტნიორებთან ერთად, ვგულისხმობ რა, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტებს, ასევე ცნობილ არასამთავრობო ორგნიზაციებს. ჩვენი მიზანი ემსახურება მრავალფეროვანი დემოკრატიული ორგანიზაციების დაარსებას, სასოფლო-სამეურნეო სფეროების განვითარებას, ახალგაზრდებისთვის კიდევ უფრო დემოკრატიული გარემოს შექმნას და საყოველთაო განათლების ხელმისაწვდომობას. ზოგადი ინფორმაციისათვის კი მოგახსენებთ, რომ ამ

ეტაპზე ჩვენ ნახევარ მილიონ ევროზე მეტი გვაქვს გაცემული აღნიშნული პროექტების დასაფინანსებლად.

ბატონო გიორგი,

ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ორმხრივი მეგობრული ურთიერთობების გათვალისწინებით, ვიმედოვნებ, რომ მალე შედგება ჩვენი შეხვედრა და ასევე მსურს წინასწარ გთხოვოთ თქვენს დედაქალაქში რომელიმე ქუჩას მიენიჭოს ბულგარეთის რესპუბლიკის დედაქალაქის- სოფიას სახელი. ეს არა მხოლოდ განამტკიცებს ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ თამანშრომლობას, ასევე მჯერა, რომ ქალაქ თბილისის ლამაზ იერსახეს კიდევ უფრო მეტ ღიაობას, მრავალფეროვნებასა და კოსმოპოლიტიზმს შესძენს.

ასევე ვისარგებლებ შესაძლებლობით და წარმოგიდგენთ სამეწოვან წიგნს ,,ალექსანდრე სტოიანოვი - ბულგარელი დამცველი ქართული ენისა და კულტურის", რომელიც ახლახანს გამოვეცით. მსურს თავდაჯერებულობით აღვნიშნო, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება ისტორიული სიახლოვის გათვალისწინებით, ხოლო მომავალში ბულგარეთის რესპუბლიკა, თავისი გამოცდილების გაზიარებით, ერთგულ პარტნიორად დარჩება საქართველოსთვის, დემოკრატიული რეფორმების გატარებისა და განვითარების გზაზე.